პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 მაისი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

ბაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 117 (15330)

ზეიმობა პიონერული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვან დღესასწაულს — პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო საბჭოების საზეიმო სხდომა, რომელიც 18 მაისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

გუშინ თბილისში, ლენინის მოედანზე გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პარადი და დემონსტრაცია. პიონერებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. სურათზე: პიონერული ზეიმი თბილისში, ვ. ი. ლენინის მოედანზე.

ბ. ბოგოლიუბოვის ფოტო.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1972 წლის 19 მაისს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. ალიევი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. თ. ვატჩენკო — უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. ესენოვი — ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნ. ი. მასლენიკოვი — სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. გრეჩკო — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, ა. ი. ხრამცოვი — ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კბილისმჭრელთა ბრიგადირი, ჟ. სვერდლოვსკი, ბ. ე. პატონი — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ვ. კაპიტონოვის მოხსენება „პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შესახებ“.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ა. თ. ეშტოკინი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. რასულოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ი. ბრეკოვი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ა. ა. ეპიშევი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, პ. ა. ლეონოვი — სკკპ სახალინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ბ. ნ. პონომარიოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1972 წლის 19 მაისს მიღებული დადგენილება

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი თანხმდება და მხარს უჭერს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებს და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის განმტკიცებას.

პლენუმი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერენ მხარს მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი. სსრ კავშირის პრინციპული, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა კავშირის, მსოფლიო სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირეულ ინტერესებს, აქტიურად უწყობს ხელს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის მოგერიებას.

პლენუმი აღავლებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კვლავაც განუხრელად განახორციელოს XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად გამოიყენოს სხვადასხვა ფორმები და მეთოდები მისი რეალიზაციისათვის, აძაბამინდელი მიმდინარე უშუალო ამოცანების გადაწყვეტა ორგანულად დაუკავშიროს ხანგრძლივ პერსპექტივასა და ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და უშიშროებისათვის, საზოგადოებრივი პროგრესისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მიზნებს.

კპრტიული დოკუმენტების გამოცვლის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1972 წლის 19 მაისს მიღებული დადგენილება

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. 1973-1974 წლებში მოეწყოს სკკპ წევრთა პარტიული დოკუმენტების გაცვლა. მანამდე განხორციელდეს მთელი საჭირო მოსამზადებელი მუშაობა.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლა მოეწყოს, როგორც დიდძალი ძვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიება, და დაექვემდებაროს პარტიის შემდგომი განმტკიცების, კომუნისტთა აქტივობისა და დისციპლინის ამაღლების ამოცანებს. მან ხელი უნდა შეუწყოს ყველა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებას, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათი მუშაობის გაძლიერებას. პარტიული დოკუმენტების გამოცვლა საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ შინაპარტიული ცხოვრების შემდგომი აქტივიზაციისათვის, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფისათვის, მასებში იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ ყველა კომუნისტი ზუსტად იცავდეს სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს, საქმით ასრულებდეს თავის აქტიურ როლს წარმოებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კეთილსინდისიერად ეკიდებოდეს პარტიულ დავალებებს, დღენიადაგ ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სანამუშოდ იცავდეს საბჭოთა კანონებს, კომუნისტური ზნეობის ნორმებსა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

2. დადგინდეს, რომ უნდა გამოიცვალოს 1954 წლის ნიმუშის ყველა პარტიული ბილეთი და მისი სააღრიცხვო ბარათი. საჭანდიდატო ბარათები არ უნდა გამოიცვალოს, რადგან პარტიის წევრობის კანდიდატები სკკპ წევრად გახდომის შემდეგ მიიღებენ ახალ პარტიულ დოკუმენტებს. პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დაწყების მომენტიდან კანდიდატად მიღებულ ყველა პირს უნდა მიეცეს ახალი ნიმუშის საკანდიდატო ბარათები.

3. სკკპ წევრების პარტიული ბილეთები უნდა გამოიცვალოს მკაცრი იდეიდეიალური წესით უშუალოდ პარტიის რაიკომებში, საქალაქო კომიტეტებში, პოლიტგაიყოფილებებში, სადაც კომუნისტები მუდმივ პარტიულ აღრიცხვაზე არიან. პარტიულ დოკუმენტებს ცვლიან პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების მდივნები, პოლიტგანყოფილებათა უფროსები და უფროსთა მოადგილეები, რომლებიც პერსონალურად აგებენ პასუხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე პარტიული ბილეთების სწორი გაცემისათვის.

გათვალისწინებულია რა მომავალი მუშაობის დიდი მოცულობა, ნებადართულია პარტიულ დოკუმენტებში ჩანაწერების შემოწმებაში ჩაებან ბიუროს წევრები, განსაკუთრებით დიდ საქალაქო და რაიონულ პარტორგანიზაციებში კი, კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების თანხმობით, აგრეთვე საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების წევრები.

გამოცვლის დროს კომუნისტთა პარტიულ დოკუმენტებზე ხელისმოწერის უფლება პირველ მდივნებთან ერთად მიეცეთ რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების სხვა მდივნებსაც. ახალი პარტიული ბილეთები კომუნისტებს უნდა გადასცენ რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნებმა, განსაკუთრებით დიდ რაიონულ და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში პარტბილეთების გადაცემა შეუძლიათ აგრეთვე რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროების წევრებს.

4. ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში პარტიული დოკუმენტების გამოცვლის ხელმძღვანელობა დაეკისროთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, ხოლო საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტორგანიზაციებში, სასაზღვრო ჯარების, და სხვა პარტორგანიზაციებში — პოლიტსამმართველოებსა და შესაბამის პოლიტგანყოფილებებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პლენუმებზე და პირველადი პარტორგანიზაციების კომუნისტთა კრებებზე აუცილებლად უნდა განიხილონ პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები პარტიული დოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1972 წელს მოსავლის აღების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

იმ მიზნით, რომ დროზე და მაღალხარისხოვნად აიღონ მოსავალი შემეცდრობულ ვადებში და უდანაკარგოდ, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმა, უზრუნველყონ მათი გამოზიდვა და შენახვა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საკსოფლტექნიკას, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანოებს დროული მომზადება 1972 წლის მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკსოფლტექნიკასა და გზათა სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით მარცვლეულის მოსავლის აღების დასაჩქარებლად, პირობების მიხედვით, ნება ეძლევათ 1972 წლის მაის-სექტემბერში შეცვალონ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის გამოყოფილი ფონდების შესაბამისად მარცვლეულასაღები კომბაინების მიწოდების ვადები.

საკსოფლტექნიკას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით საჭირო შემთხვევებში ნება ეძლევა „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოთა ავტოკოლონები ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან გაგზავნოს მეორეში მოსავლის ასაღებად და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასამზადებლად. სსრ კავშირის სახმომარაგებამ უნდა უზრუნველყოს მოსავლის ასაღებად სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი სატვირთო ავტომობილების ვადამდე მიწოდება. სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სხვა სამინისტრობი მოვალენი არიან 1972 წელს უზრუნველყონ გამოყოფილი ფონდების ანგარიშში მოსავლის ასაღები სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აკუმულატორების ვადამდე დამზადება და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდება.

სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ეკსკავატორების სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ და აწვდიან სოფლის მეურნეობასა და წყალთა მეურნეობას, ეკალთან უზრუნველყონ მათი ვადამდე გაგზავნა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სათადარიგო ნაწილების თანაბარ მიწოდებას რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის.

მოსავლის ასაღებად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო და პურისმიმღებ საწარმოებს დამატებით გამოეყოფათ მანქანები, მოწყობილობა, სათადარიგო ნაწილები, ნავთობპროდუქტები და მასალები.

ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს და დამატებით მიაწოდოს ნავთობპროდუქტები მოსავლის ასაღებ სამუშაოთა შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობასა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, პურისმიმღები, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების საჭიროებისათვის გეგმის გადამეტებით გამოიყოფა ლითონი, საშენი მასალები, ლითონის ნაწარმი და მოწყობილობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო მოვალენი არიან უზრუნველყონ პურისმიმღებ საწარმოთა დროული მომზადება 1972 წლის მოსავლის მარცვლეულის მისაღებად, განახორციელონ იქ საჭირო ღონისძიებანი, რათა უსწრაფესად გადმოიტვირთოს მარცვლეული დიდტვირთიანი ავტომობილებიდან და ავტომატარებლებიდან, განახორციელონ მოქმედ ავტომობილგანმტვირთველთა რეკონსტრუქცია და დადგან ახალი ავტომობილგანმტვირთველები, მიამაგრონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პურისმიმღებ საწარმოებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩასაბარებლად, შექმნან რაიონებსა და ოლქებში ოპერატიული სადისპეტჩერო ჯგუფები მარცვლეულის გადაზიდვის ხელმძღვანელოდ და ავტოტრანსპორტის გამოყენების გასაუმჯობესებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო და სამშენებლო სამინისტროები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ დადგენილ ვადებში შესრულდეს ელევატორებისა და მექანიზებული მარცვლისაწყობების ამოქმედების 1972 წლის გეგმით გათვალისწინებული დავალებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ მოსავლის აღებაში ჩაბაან ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის სატვირთო ავტომობილები და ბორტიანი ავტომობილები, მათი მძღოლთა შემადგენლობა და სარემონტო საშუალებანი, გარდა ამ დადგენილებით განსაზღვრული სამინისტროებისა და უწყებების ავტომობილებისა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალთ დაადგინონ წესი, თუ როგორ მიამაგრონ მოსავლის აღებაში ჩაბმული ავტომობილები საავტომობილო მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, ამ ავტომობილებისაგან ავტოკოლონების შექმნის წესი, აგრეთვე უზრუნველყონ ავტომობილების მომარაგება სათადარიგო ნაწილებით, სარემონტო საშუალებებითა და ნავთობპროდუქტებით.

საჭიროდ არის მიჩნეული მოეწყოს სატვირთო ავტომობილების სადღეღამისო მუშაობა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გადასაზიდად. ამ მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასკომები მოვალენი არიან უზრუნველყონ მოსავლის აღებაზე დასაქმებული ყველა ავტომობილის დაკომპლექტება მძღოლთა შემადგენლობით ისე, რომ ერთ ავტომობილზე მოდიოდეს ორი შოფერი, ამასთან საჭიროების შემთხვევაში მიიზიდონ შოფრები სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან.

მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე სასილოსე მასის გადასაზიდად მივლინებულ შოფრებს, შემკეთებელ მუშებს, მექანიკოსებს, ავტოკოლონების უფროსებსა და ავტომეურნეობათა დისპეტჩერებს ენახებათ საშუალო ხელფასის 75 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ ძირითად სამუშაო ადგილზე კუთვნილი სატარიფო განაკვეთისა, მივლინების მთელი დროის განმავლობაში. აღნიშნულ თანხებს უხდიან საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები თავიანთი სახსრებიდან ამ მუშაკთა ძირითად სამუშაო ადგილზე. ამასთან დაკავშირებით მივლინებულ მუშაკებს არ უნაზღაურებენ დღიურებსა და ბინის ქირას.

მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

პროდუქტების გადასაზიდად დიდტვირთიან ავტომობილებზე და მისაბმელიან ავტომობილებზე (ავტომატარებლებზე) მომუშავე შოფრებისათვის დაწესებულია დამატებითი პრემირება სატარიფო განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით. პრემია ეძლევათ თვითეულ ცვლაში მუშაობის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ ცვლის დავალებას შეასრულებენ სამუშაო დროის დადგენილი ნორმრძლივობის განმავლობაში.

განსაზღვრულია მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების, სათესლე მრავალწლიანი ბალახების, საბოჭკოე ქსელისა და სახალოსე კულტურების მოსავლის აღებაზე მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეთა, კომბაინერთა და კომბაინის აგრეგატების სხვა მუშაკთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი მეურნეობაში დაწესებული სეზონური ნორმის შესრულებისათვის იმ პირობით, თუ მაღალხარისხოვნად და უდანაკარგოდ აღებენ მოსავალს. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნება დაერთოთ დახარჯონ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და კენჭრის მოსავლის 10 პროცენტამდე იმისათვის, რომ მიჰყიდონ ხელფასის ანგარიშში საბჭოთა მეურნეობების მუდმივ მუშაკებს, აგრეთვე ამ კულტურათა მოსავლის აღებისათვის მოწვეულ მუშაკებს დაგეგმილი თვითღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს საცალო ფასებისა.

კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ გამოიყენონ წახალისებანი, რომლებიც დაწესებულია ამ დადგენილებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად და პურის მიმღებ საწარმოებში სამუშაოდ მიზიდონ ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა. აღ სამუშაოებზე მიწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს ენახებათ ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო თვიური ხელფასის 50 პროცენტი. აღნიშნულ თანხებს უდიან საწარმოები და ორგანიზაციები მუშათა და მოსამსახურეთა ძირითად სამუშაო ადგილზე თავიანთი სახსრებიდან. ამასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა. შესასრულებლად და პურის მიმღებ საწარმოებში სამუშაოდ მიწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს არ უნაზღაურდებათ დღიური და ბინის ქირა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დაადგინონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად და პურის მიმღებ საწარმოებში სამუშაოდ მიზიდული მოსახლეობის შრომის ანაზღაურებისა და მისი გადაყვანის ხარჯების ანაზღაურების წესი.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ნება დაერთოთ აუნაზღაურონ რუსეთის სფსრ და უკაზახეთის სსრ უამრი მიწვნის რაიონებში სამუშაოდ ჩასულ კომბაინერებს, მექანიკოს-კომბაინერებს, ტრაქტორისტებსა და სამკელი მანქანების მემანქანეებს დროებით სამუშაო ადგილამდე და უკან მგზავრობის ღირებულება და გადაუხადონ მათ საშუალო ხელფასი გზაში უყოფნის დროისათვის და საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში ჩასვლის შემდეგ პირველი სამი დღისათვის (საშუალო ხელფასი გამოითვლება ძირითად სამუშაო ადგილზე უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მიღებული ხელფასის ოდენობიდან). აღნიშნულ მექანიზატორებს საბჭოთა მეურნეობებში შრომა აუნაზღაურონ უამრის საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებისა და ფასდების შესაბამისად.

კომბაინერებს, მექანიკოს-კომბაინერებს, ტრაქტორისტებსა და სამკელი მანქანების მემანქანეებს ენახებათ ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის 75 პროცენტი. აღნიშნულ თანხებს უდიან საწარმოები და ორგანიზაციები მექანიზატორთა ძირითად სამუშაო ადგილზე თავიანთი სახსრებიდან. ამასთან დაკავშირებით მიელინებულ მექანიზატორებს, არ უნაზღაურდებათ დღიური და ბინის ქირა.

რუსეთის სფსრ და უკაზახეთის სსრ უამრი მიწვნის რაიონებში მოსავლის ასაღებად სხვა რაიონების კოლმეურნეობებიდან მიელინებულ კომბაინერებს, მექანიკოს-კომბაინერებს, ტრაქტორისტებს, სამკელი ძანქანების მემანქანეებსა და შოფრებს, დღიურებისა და ბინის ქირის საცვლად, ფულს უდიან მეურნეობები, რომლებშიც ეასი არიან მიელინებულნი, ამ დადგენილების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ძირითად სამუშაო ადგილზე ამ კოლმეურნეებს საშუალო ხელფასი არ ენახებათ.

კოლმეურნეობებს რჩება მიეცით მიელინებულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებისა და ფასდების შესაბამისად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ნება დაერთოთ უფლება მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მიმყიდონ ნაღდ ანგარიშზე სახელმწიფო შესაბამისად ფასებში 10 ცენტნერამდე მარცვლეული კომბაინერებსა და კომბაინერთა თანაშემწეებს, რომლებიც მოსავლის ასაღებად ჩავიდნენ რუსეთის სფსრ და უკაზახეთის სსრ უამრის რაიონებში და შეასრულეს კომბაინებით გამომუშავების სეზონური ნორმა ამ რაიონებში.

ნებადართულია შემოიღონ წელს მარცვლეულისა და მაკრის კარხლის გამოზიდვაზე 2 ცვლად მომუშავე შოფრებისათვის (2 მძღოლი 1 ავტომობილზე) დამატებითი პრემირება სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტის ოდენობით დღეღამის სულ ცოტა 20 საათის განმავლობაში ავტომობილების შეუფერხებელი მუშაობისათვის, ცოცხრის, ურალის, კვეფო და შუა ვოლგის რაიონებში და უკაზახეთის სსრ უამრის რაიონებში კი მარცვლეულის გამოზიდვაზე მომუშავე შოფრების პრემირება სატარიფო განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით. პრემიები დაეჯილდოთ მუშაობის საღღეღამისო შედეგების მიხედვით, თუ შეასრულებენ საღღეღამისო დავალებას და წესივრულ მდგომარეობაში ჩაბარებენ ავტომობილს მომდევნო დღე-ღამეებში მუშაობისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ 1972 წელს მუშაობის უველაზე დაძაბულ პერიოდებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადმოიყვანონ ტრაქტორები, და ავტობენმზიდები ძძლოლთა შემადგენლობითურთ, აგრეთვე მემანქანე ტრაქტორისტები და სხვა მექანიზატორები და შოფრები სარეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მათთვის დადგენილი საგეგმო დავალებების შესრულებისათვის ზაინის მიუყენებლად.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნება ეძლევათ თავის, ნამჯის აღებასა და სილოსის დამზადებაზე დასაკმეველად მუშაკებს დამატებითი ანაზღაურების სახით (უფასოდ) მისცენ. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების მუდმივ მუშაკებს კი, რომლებსაც შინაური პირუტყვი ჰყავთ პირად საკუთრებაში, საგეგმო თვითღირებულებით მიჰყიდონ დამზადებული უხეში საკვებისა და სილოსის გარკვეული ნაწილი.

კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ გამოიყენონ დადგენილებით გათვალისწინებული წახალისება საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა მუშაკებისათვის.

სსრ კავშირის სახბანკი მოვალეა გამონაკლისის სახით, 1972 წლის I თოვმბრამდე, ცალკეული კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს (მათი უწყვეტრივი დაკვემდებარების მიუხედავად), მეფრინველეობის ფაბრიკებს, ჯიშთსაშენებსა და ცხენთსაშენებს, სასოფლო-სამეურნეო სასწავლო-საწარმოო სამეურნეობებს, სოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებებს (განყოფილებებს), მაღაზიებსა და ბაზებს, რომლებიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, მათი დასაბუთებული შუამდგომლობის შესაბამისად მისცეს მოკლევადიანი კრედიტი, რათა აანაზღაურონ სათადარიგო ნაწილებისა და სარემონტო საკეთილებებისათვის გამოყოფილი მასალების, ნავთობპროდუქტების, სარემონტო სამუშაოებისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის და სატვირთო ავტომობილების, მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო სამუშაოთა ღირებულება, რომლებსაც „სოფლტექნიკის“ ორგანიზაციები ასრულებენ. აანაზღაურონ საკვების, მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და შხამქიმიკატების ღირებულება. აგრეთვე აანაზღაურონ კოლმეურნეთა შრომა მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ვადაგასული დავალიანება სსრ კავშირის სახბანკის ესესთან.

მარცვლეულის მიღების ვადების შემცირების მიზნით ოუფეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება ეძლევათ პურის მიღების დაწყებიდან 1972 წლის 1 დეკემბრამდე უამრი მიწვნის რაიონებში პურისმიმღებ პუნქტებში მარცვლეულის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე დასაკმეველ მტვირთავ მუშებს შრომა აუნაზღაურონ 50 პროცენტით გადიდებული ფასდებით, თუ შეასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმას.

გზათა სამინისტრო, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრო და საზღვაო ფლოტის სამინისტრო მოვალეხ არიან უზრუნველყოფ მანქანებით დასაატვირთად ვაგონებს, გემებსა და კონტეინერებს. მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების პირველ რიგში (გემით) მიწოდება და კონტროლი დაუწესონ რკინიგზითა და სანაოსნო გზებით იმ მატარებლებისა და გემების მოძრაობას, რომლებსაც ტვირთები მიაქვთ სოფლის მეურნეობის და წყალთა მეურნეობისათვის, პურის მიმღები საწარმოებისათვის, სარწყავი და დასაშრობი სისტემის მშენებლობისათვის, ელევატორების, კომბინირებული საკვების საწარმოების, წყალქვლებისა და ობიექტებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან 1972 წელს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებისა და შენახვის უზრუნველყოფასთან.

ზეგეგმითი ტვირთზიდვის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ვაგონების, გემებისა და კონტეინერების მიწოდება აღნიშნული ტვირთების გასაგზავნად სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და პროფკავშირთა შესახებ რესპუბლიკურ საბჭოებთან შეთანხმებით დაიწესონ 1972 წლის მოსავლის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების აღებისა და გატანის პერიოდში სასოფლო რაიონების ან რაიონთა ჯგუფებისათვის, აგრეთვე ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გარდამავალი წოდელი დროშები და ფულადი პრემიები, რომლებიც მიეცემათ ყოველ 10 დღეში მუშაობის შედეგების მიხედვით ავტოკოლონებსა და სხვა სატრანსპორტო ქვეგანაყოფებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს რჩება მიეცათ დაიწესონ საპატიო წოდება „1972 წლის მოსავლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებული“, რომელთაც მიეცემათ საოლქო აღმასკომის, სამხრეო აღმასკომის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სიგელები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და „საკსოფლტექნიკას“ დაევალათ უზრუნველყოფ 1972 წლის მოსავლის აღებისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების მტკიცე ეკონომია.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, რაიონულ კომიტეტებსა და სამრეწველო საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მოაწყონ, შეფობის წესით, სამრეწველო საწარმოთა დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, პურის მიმღები და მარცვლეულის გადამმუშავებელი საწარმოებისადმი 1972 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების მომზადებასა და ჩატარებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რწმენა გამოთქვეს, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები და სატრანსპორტო ორგანიზაციები განაბორკილებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ მოსავლის უდანაკარგოდ აღება, საკერო რაოდენობით საკვების დამზადება, სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბიულეტენი

18 მაისს კრემლში ნ. ვ. პოდგორნი [illegible] ზაირის რესპუბლიკასა და ჩადის რესპუბლიკაში, ასევე ზელანდიაში, კანადაში, დანიაში.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციამ ამა წლის 3-8 აპრილს მოსაწვევობა მიიღო საპარლამენტთაშორისო კავშირის ალმასკომის, საბჭოსა და კომისიების საგაზაფხულო სხდომებში, რომლებიც ქალაქ იაუნდეში (კამერუნი) მიმდინარეობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საქმიანობა საზღვარგარეთ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ქვეყნის სამინაო ცხოვრების მთელი რიგი საკითხები. მოსაწვევი იქნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განსჯისათვის კომისიების ინფორმაცია საკარმიდამო ნაკვეთებზე მოსახლეობისა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავის გადაჭრისას სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

პალატების საკანონმდებლო განსჯისულობათა კომისიების თავმჯდომარეებნა ი. ვ. ბაბაიტსევმა და ი. ბ. ბაბინმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანეს წინადადებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვაროვან გაუშვებლობის შესახებ. ეს წინადადებები განხილულ და მიღებულ იქნა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების ბუნების დაცვის კომისიებმა სსდომაზე მოახსენეს, თუ როგორ ასრულებენ ზოგიერთი სამინისტროს საწარმოები კანონმდებლობას წყალსატეგებისა და ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თვალთან აციერების შესახებ. პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად ბუნების დაცვის კომისიების ინფორმაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა შუამდგომლობანი შეწყალების, სსრ კავშირის მოქალაქეად მიღებისა და მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ და სხვა საკითხები. (საკვლეა).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის მაისის ბრძანებულებებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ირაკლი გიორგის-ძე ანთელავა, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე — დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ოთხეს ივანეს-ძე კოდუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი — დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამავე რიცხვის ბრძანებულებებით პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ამირან ოსმანის-ძე ანანიძე, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი — დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ალეკსი ნიკოლოზის-ძე ჩიტაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ინსტრუქტორი — დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

საქართველოს სავაჭრო პალატის ნევრთა კრება

19 მაისს გაიმართა საქართველოს სავაჭრო პალატის წევრთა საერთო კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, მსხვილ საბრეწველო და სავაჭრო საწარმოთა დირექტორები — პალატის წევრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრებილთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე.

საანგარიშო მოხსენება 1968-1971 წლებში საქართველოს სავაჭრო პალატის საქმიანობის შესახებ გააკეთა მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა.

საქართველოს სავაჭრო პალატა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას. იგი აერთიანებს 150-ზე მეტ ორგანიზაციას. ეს ძირითადად არის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას გზავნიან საექსპორტოდ, მონაწილეობენ საზღვარგარეთ საბჭოთა ბაზრის ვაჭრობისა და სსრ კავშირში, კერძოდ, საქართველოში საერთაშორისო დათვალიერებების მომზადებასა და მოწყობაში.

გასული წლის მანძილზე რესპუბლიკის დედაქალაქში მოეწყო 19 უცხოური გამოფენა. საქართველოს დამოუკიდებელი განყოფილებანი ჰქონდა იზმირში, პარიზში, თეირანში, ბაზელში, კაიროში გამართულ გამოფენებზე. მათ დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით დაენახათ, თუ რა წარმატებებს მიაღწია ქართველმა ერმა თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით.

ფართოვდება საქართველოს სსრ რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიური კავშირურთიერთობა. ბუნებრივია, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. საანგარიშო პერიოდის მანძილზე სავაჭრო პალატის მოწვევით რესპუბლიკაში იყო 30 ქვეყნის სამრეწველო და სავაჭრო ფირმების 1500 წარმომადგენელი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ნაყოფიერ საგარეო კავშირურთიერთობაზე შეიძლება ვამბობდეთ: რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1971 წელს 1970 წელთან შედარებით 2,8 პროცენტით გაიზარდა. თბილისში საზღვარგარეთის გამოფენების მუშაობის დღეებში განსხორციელდა თითქმის სამი მილიონი მანეთის საქონლის შესყიდვის კომერციული ოპერაციები.

საქართველოს სავაჭრო პალატის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ხარისხისადმი კონტროლი. ამ საკითხში მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოებს დიდ დახმარებას უწევენ. მაგალითად, 1971 წელს პალატის ექსპერტებმა შეამოწმეს ასეული მილიონობით მანეთის ფართო მოხმარების იმპორტული საქონლის ხარისხი.

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილე ა. გოლოვკინი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს წარმატებანი საგარეო ვაჭრობაში გვიჩვენებენ, თუ რა მძლავრი პოტენციალია განვითარებისათვის მოძმე ხალხთა ერთიანობა, რომლებმაც 50 წლის წინათ შექმნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

გაითვალისწინა რა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს სავაჭრო პალატა, საგარეო ვაჭრობის გაფართოების გარდა, აქტიურად უწყობდა ხელს აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას ეწოდოს საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

კრებამ აირჩია პალატის საბჭო, საბჭოს სხდომაზე შეიქმნა პრეზიდიუმი. რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აარჩეულია რ. ს. ელიგულაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეებად საზოგადოებრივ საწყისებზე — „საქტანსაცმელფაბრიკის“ რესპუბლიკური ბაზის მმართველი ვ. ი. კოტლიაროვა და პალატის სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს უფროსი ა. ს. ფარულავა. (საქინფორმი).

ეროვნულ კარგი პატარეგნ!

□

სალამი თქვენდა!

მხურვალედ მოგილოცავთ, ნორჩო ლენინელებო — ჩვენო მომავალო — დღესასწაულს, ამ დღეებში რომ აღნიშნეთ, და ლენინის ორდენს, მეორედ რომ მიიღო თქვენმა დიდებულმა პიონერულმა ორგანიზაციამ, რომელიც ღირსეულად ატარებს დიდი ლენინის სახელს.

არ დაგავიწყდეთ, რომ მამათა საქმეები თქვენ უნდა განაგრძოთ. თქვენი სამშობლო — საქართველო მუდამ ბრწყინავდა ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანებით. აიღეთ მაგალითი უკეთესთაგან! დაგელოცოთ გზა დიდ ცხოვრებაში!

აკადემიკოსი

ნიკო კეცხოველი.

იყავ მზად!..

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი აკიაფდა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დროშაზე. ეს პიონერული შემართების დიდი აღიარებაა. მართლაც, პიონერიის მიერ განვლილი გზა ჭაბუკური ენთუზიაზმით, ძიებით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, ერთგულებით არის სავსე.

მივესალმები ნორჩ იუბილარებს, ეულოცავ მათ მაღალ ჯილდოს და ვუსურვებ კვლავაც მეოდამ იყონ მზად საკმირო საქმეებისათვის საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვ. პაპინაშვილი,

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

იყავ მზად!..

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი აკიაფდა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დროშაზე. ეს პიონერული შემართების დიდი აღიარებაა. მართლაც, პიონერიის მიერ განვლილი გზა ჭაბუკური ენთუზიაზმით, ძიებით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, ერთგულებით არის სავსე.

მივესალმები ნორჩ იუბილარებს, ეულოცავ მათ მაღალ ჯილდოს და ვუსურვებ კვლავაც მეოდამ იყონ მზად საკმირო საქმეებისათვის საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვ. პაპინაშვილი,

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ნორჩ ლენინელთა პარადი

თბილისის ლენინის მოედანი ბევრი დღესასწაულის მრმსწრეა. და მათ შორის ეს პარადი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს რევოლუციურ თაობათა ერთიანობასა და მემკვიდრეობითობას, განსაკუთრებით საგულისხმოა. ყოველ წელს 19 მაისს მოედანზე იკრიბებიან პიონერები. გუშინ დილით ნიკა კვლავ აფერადდა წითელი ყელსახვევებით, ალმებით, ყვავილებით. აქ გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ეს ზეიმი ერთ-ერთ ადგილზე ეწყობოდა. ამ ადგილზე ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეს ზეიმი ოპერეტის ფინალია. ეს ზეიმი ოპერეტის ფინალზე ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეს ზეიმი ოპერეტის ფინალია. ეს ზეიმი ოპერეტის ფინალზე ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეს ზეიმი ოპერეტის ფინალია.

ეს დარბაზი თითქოს ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასე ლამაზი და მორთული: ყველგან ყვავილები, ალისფერი ყელსახვევები, დროშებია, რომლებიც ცისკრიყელას ქმნიან.

სცენის სიღრმეში მოჩანს ვ. ი. ლენინის — ბელადის, ბავშვების მეგობრისა და მასწავლებლის ბარელიეფი, რომლის სახელს ღირსეულად ატარებენ ნორჩი ლენინელები.

ოქროსფრად ელვარებს ციფრი „50“.

ნორჩი მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს — პიონერული მოძრაობის ფიონერთა საზეიმო პარადი და დემონსტრაცია.

ტრიბუნაზე არიან მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ი. ლოლაშვილი, შ. ჭანყოფაძე, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სსრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ბამრიკელი, ნ. ფიშხანაძე, ნ. ლაზიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუსხრაშვილი, პიონერული მოძრაობის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები, საზოგადო მოღვაწეები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერები, მწერლები, მეომრები.

პიოსეერებთან სტუმრად მოვიდნენ **მ. გოგიჩაიშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, პ. მელნიკოვი, ნ. ცხაკაია, შ. ჭანუყვაძე, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი.**

გაისმის ფანფარების ხმა:

— ყურადღება, ისმინეთ ყველამ!

ათასობით ბავშვის ხელი აიმართა მისალმების ნიშნად.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. პატიაშვილი** ვ. ი. ლენინის სახელობის ჩრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ და თბილისის „საქალაქო საბჭოების საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს.

გაისმის მარშის ხმები და საპატიო ესკორტის თანხლებით დარბაზში შემოაქვთ საქართველოს რესპუბლიკური და თბილისის პიონერული ორგანიზაციების დროშები.

მოხსენება „სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წელი“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პიონერული ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ნ. ლაზიძემ.**

დიდი და სასიხარულო დღესასწაული გულთბილად ძიულოცეს ბავშვებს 20-იანი წლების პიონერთა წარმომადგენელმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგემ, პროფესორმა **ა. ყანჩელმა**, საქართველოს სსრ ძინისტოთა საბჭოს მძღოგბლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა **ი. ციცაშვილმა**, სოხუმის ქარხანა „ბახპაოტის“ მოწინავე ძუშამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ა. ავიძბამ**, ეროტელთის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ნ. ჩელებაძემ**, ამერკოვკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი პირველმა მოადგილემ, სამხედროსპორტული თამაშის „

ისტრის“ რესპუბლიკური შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა **ი. იუფპოლსკიმ**, ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლემ, პიონერთა IV სრულიად საკავშირო შეკრების დელეგატმა **ტ. უალებამ**, ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის უფროსსა პიონერხელმძღვანელმა **ა. ბესტაევამ**, წითელწყაროს რაიონის ოიფცლ ზემო მარხანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ნ. მამაიაშვილმა**, საქართველოს მწეოალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა **ი. ნონეშვილმა.**

პიონერიის ნახევარი საუკუნის იუბილეს დღე **გივი ხუციშვილისათვის, ანზორ სომბიშვილისათვის, ნინო დოლიძისათვის, ლია ქათამაძისა** და სხვა ბავშვებისათვის ყველაზე ბედნიერ დღედ დარჩება მათ ცხოვრებაში: აქ, საზეიმო სხდომაზე ისინი მიიღეს პიონერობად იმათ, ვინც ჯერ კიდევ 20-იან წლებში ქმნდა პირველ პიონეროულ რაზმებს რესპუბლიკაში.

ზეიმურად გაისმის პიონერთა ფიცის, შშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, ხალხისადმი, თავიანთი ხელმძღვანელის — კოკა ვერისადმი სიყვარულისა და ერთგულების ფიცის სიტყვები.

დარბაზიდან გაავეთ რესპუბლიკური და საქალაქო პიონეროული ორგანიზაციების დროშები, საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება.

აწყება ადღესასწაულო კონცერტი.

(საქინფორმი).

საქართველოს სავაჭრო პალატის ნევრთა კრება

19 მაისს გაიმართა საქართველოს სავაჭრო პალატის წევრთა საერთო კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, მსხვილ საბრეწველო და სავაჭრო საწარმოთა დირექტორები — პალატის წევრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრებილთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე.

საანგარიშო მოხსენება 1968-1971 წლებში საქართველოს სავაჭრო პალატის საქმიანობის შესახებ გააკეთა მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა.

საქართველოს სავაჭრო პალატა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიური ურ

ერთიანი
გერმანია

ინტერნაციონალი

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა

მსოფლიო პრესა სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ

ვარშავა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის მიერ მოსკოვსა და ვარშავაში დადებულ ხელშეკრულებათა მოწონება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ". ეს მთელი იმ ძალების წარმატებაა, რომლებიც იბრძვიან ევროპის სტაბილიზაციისათვის, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისათვის, აღნიშნავს გაზეთი. ეს არის აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობლივი შეთანხმებული პოლიტიკის წარმატება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდნენ არა მარტო სტაბილიზაციისა და დაძაბულობის შენელებისათვის. არამედ დაუსრულოდ, კონკრეტულად და პრაქტიკულად ცდილობდნენ, რომ გადაეჭიცათ თავიანთი წინადადებანი პოლიტიკურ და დიპლომატიურ სინამდვილედ. მათი მთავარი მიზანი იყო და არის უშიშროებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის სისტემის შექმნა ევროპაში.

ბუნდესტაგის მიერ სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა მოწონება ამავე დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი იმ პოლიტიკური ძალების სერიოზული წარმატებაც არის, რომლებმაც გაბედეს მოეხდინათ საჭირო შემობრუნება — დაეწყოთ და შემდეგ განეხორციელებინათ ის, რასაც უკვე ახლადელი მთავრობის „საალმოსავლეთო პოლიტიკას" უწოდებენ, ხაზს უსვამს „ტრიბუნა ლუდუ".

პარიზი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„აქაურ ავტორიტეტულ წრეებში ქმაყოფილებით ეაუცვნენ კენჭისყრის შედეგებს, რომლის დროს ბუნდესტაგმა მხარი დაუჭირა მოსკოვსა და ვარშავაში დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, ამ წრეებში უხარიათ, რომ ფედერალურმა პარლამენტმა თითქმის ერთსულოვნად სასურველად და შესაძლებლად მიიჩნია იმ პოლიტიკის განვითარება, რომლის გამოვლინებაა ეს ორი ხელშეკრულება და რომელსაც საფრანგეთის მთავრობა, თავის მხრივ, მუდამ მხარს უჭერდა".

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ გზას უკვალავს დაძაბულობის შენელებას ევროპაში და თანამშრომლობის განვითარებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის— ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს აქაური თვალთვალის უმრავლესობა.

„ფრანკფურტერ რუნდშაუ" და „კელნერ შტად-ანეიგერი" საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ხელშეკრულებებს უწოდებენ „უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებს". „კელნერ შტანდტ-ანეიგერის" სიტყვით, ხელშეკრულებანი „წელილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესში".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, წერს გაზეთი „ხეოდდეიჩ �იტუნგი", მიესალმება და იწონებს მოსკოვსა და ვარშავაში დადებულ ხელშეკრულებებს. მათი რატიფიკაცია ახალი ეტაპია ფედერაციული რესპუბლიკის განვითარებაში და ხელს უწყობს ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის შემდგომ ნორმალიზაციას.

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ოფიციალურ წრეებში კმაყოფილება გამოიწვია ბუნდესტაგის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის ხელშეკრულებათა მოწონებამ.

„ბუნდესტაგის მიერ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, — წერს ინგლისური „ვარდიანი", — ცენტრალურ ევროპაში დაძაბულობის შენელების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია". თავის მხრივ ბრიტანეთის საქმიანი წრეების ორგანო „ფაინენშლ ტაიმსი" აღნიშნავს: „შეგვიძლია მივესალმოთ გუშინდელ კენჭისყრას ბუნდესტაგში. ახლა გზა გაეხსნა შემდგომ პროგრესს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებაში".

ბრიუსელი. ბელგიის მთავრობა აცხადებს, რომ მიჩვად დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის გადაწყვეტილებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში. რატიფიკაცია ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებასა და მზადებას სრულიად ევროპის თანამრისათვის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, აღნიშნულია ცნობაში.

(საკდესი. 19 მაისი).

ბონი — ბუნდესრატი იწონებს ხელშეკრულებებს

19 მაისი. (საკდესი). დღეს ბუნდესრატმა — დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მხარეთა პალატამ — როგორც უკანასკნელმა საპარლამენტო ინსტანციამ მოიწონა კანონპროექტები საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ.

წინათ ეს კანონპროექტები მოიწონა ბუნდესტაგმა. ბუნდესრატმაც ერთსულოვნად მოიწონა ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც მთავრობის კოალიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს.

დასასრულ ბუნდესრატის თავმჯდომარის მოადგილემ კონნიგმა (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) განაცხადა, რომ ამით „საბოლოოდ დამთავრდა" მოსკოვსა და ვარშავაში დადებული ხელშეკრულებების' რატიფიკაციის უძველესი პროცესი.

მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ხელშეკრულებები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას.

აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 23 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰაინემანი ხელს მოაწერს კანონებს სსრ კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა შესახებ.

19 მაისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებების მოწონება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე ბონში, მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები წარმოადგენენ საფუძველს ალმოსავლეთისა და დასავლეთის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ბრაზილია

ეეპგბრსეეგს — საქაღრისი პასუხი

19 მაისი. (საკდესი). წუხელ კონგოს დედაქალაქის მცხოვრებლები გაღვიძა ხირენების ხმამ— საყოველთაო განგაშის სიგნალმა.

მალე რადიომ „კონგოს რევოლუციის ხმამ" გამოაცხადა, რომ შეთქმულთა ჯგუფი თებერვლის შეთქმულების ხელმძღვანელის ანჟი დიავარას მეთაურობით „შეეცადა გაემეორებინა 22 თებერვლის ამბები".

როგორც ცნობილი გახდა, დედაქალაქის ჯუეს გარეუბანში შეთქმულებსა და უშიშროების ძალებს ზორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რომლის შედეგადაც მეამბოხენი დაამარცხეს. თვით დიავარა და მასთან დაახლოებული პირების ნაწილი მიიმალა.

ხალხისადმი, მუშებისადმი, გლეხებისადმი, რევოლუციური ინტელიგენციისა და რევოლუციის მებრძოლებისადმი მიმართვაში კონგოს შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა გამოჩინონ უდიდესი სიფხიზლე და ყოველნაირად ითანამშრომლონ უშიშროების ძალებთან და კონგოს ეროვნული სახალხო არმიის ნაწილებთან, რათა შეიპყრონ ანჟი დიავარა და მისი თანამზრახველნი.

ბრაზილია

ბალბალაბის ბაგეები

19 მაისი. (საკდესი). ბანაბარიელ მილიონერ ... ...

დაუვიწყარი შეხვედრები

ბორჯომში დამთავრდა საკავშირო კურორტების მშრომელთა მეგობრობის კვირეული

საკავშირო კურორტების მშრომელთა მეგობრობის კვირეულის მონაწილენი ბევრი კარგი საქმის მოწმენი გახდნენ. განსაკუთრებული იყო 17 მაისი. ამ დღეს ისინი დაესწრნენ ბორჯომში ახალი ხიდის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს.

მიტინგი გახსნა პარტიის რაიონის მეორე მდივანმა ა. მოსიძემ. ხტაყოფით გამოვიდნენ მშენებელი ინჟინერი რ. კვინიკაძე, მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხნის დირექტორი ქ. ხარისჭირაშვილი, მასწავლებელი გ. ჯოჯიშიანი, კისლოვოდსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. მერცალოვა, პიატიგორსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. მანუილენკო და ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დ. სალარიძე. მათ ბორჯომელ მშრომელებს მიულოცეს ახალი ხიდის გახსნა. აქვე გამოქვეყნდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება იმის შესახებ რომ ამ ახალ ხიდს, რომელმაც შეაერთა ორი უბანი — ლიკანი და ახალუბანი, ეწოდა „მეგობრობის ხიდი“.

ამ დღეს კვირეულის მონაწილე დელეგაციის წევრებმა ხიდის მარცხენა მხარეს ახლად მოწყობილ — „მეგობრობის პარკში“ ხეები დარგეს. შემდეგ მატარებლით გაემგზავრნენ ბაკურიანში.

აქ მათ შეხვედრა მოუწყეს ბაკურიანის მშრომელებმა. სახელდებულად გამართულ მიტინგზე სტუმრებს მიესალმნენ ბაკურიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. ორჯონიკიძე, მასწავლებელი ე. შოიანი და პიონერი ნ. ბანდური. ბაკურიანის დათვალიერების შემდეგ მეგობრობის კვირეულის მონაწილენი ბორჯომში დაბრუნდნენ.

საღამოს საკურორტო დარბაზში შედგა კვირეულის საზეიმო დახურვა.

შეკრებილთ მიესალმნენ მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხნის ლაბორატორიის გამგე თ. სტაჟაძე, მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ს. კიკნაძე, ბორჯომის № 12 საშენებლო ტრესტის მმართველი ე. იაკობაშვილი, კისლოვოდსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. მერცალოვა, დილიჯანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ჩეპელი, პარტიის იალტის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ა. სიმონენკო, ჟელეზნოვოდსკის სანატორუმ „დუბოვაია როშჩას“ მთავარი ექიმი ს. ზენკოვი, პიატიგორსკის სანატორიუმ „ლესნაია პოლიანას“ მთავარი ექიმი ვ. დუხოვსკი და ლიკანის სანატორიუმის მთავარი ექიმის მოადგილე ვ. დვალი.

— კვირეულის დღეები დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, — ამბობდნენ აქ ჩამოსული დელეგაციების წარმომადგენლები, — ბედნიერი ვართ, მონაწილეობა რომ მივიღეთ მეგობრობის კვირეულში. მივდივართ და მიგვყავს თქვენი გულის სითბო, ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

მეგობრობის კვირეულის საზეიმო დახურვაზე პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კუხიანიძემ დელეგაციების ყველა წევრს გადასცა პარტიის ბორჯომის რაიკომისა და რაიაღმასკომის საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

სურათზე: საკავშირო კურორტების მეგობრების კვირეულის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ხ. კილაძის ფოტო.

ქართველი მეცნიერის აღიარება

წელს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ცნობილმა გამომცემლობამ სპეციალური გამოკვლევების სერიაში გამოსცა ქართველი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ბეგლარიშვილის მონოგრაფია „თავის ტვინის სისხლძარღვთა მემკვნეობანი“. ეს ამ ნაშრომის უკვე მეორე გამოცემაა. პირველი გამოშვება 1968 წელს საბჭოთა გამომცემლობა „ნაუკამ“ ქ. ლენინგრადში, და მან საყოველთაო აღიარება ჰპოვა. საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანმა მეცნიერულმა ჟურნალებმა თავიანთ რეცენზიებში მას მაღალი შეფასება მისცეს, როგორც ორიგინალურ ნაშრომს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულაციის ურთულესი მექანიზმების შესწავლის დარგში. ეგზის შექმნას წინ უძღოდა მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული რთული და ნაკიფი ექსპერიმენტული კვლევა-ძიება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც პროფესორი გ. მგელაძილური ხელმძღვანელობს პათოლოგიური ფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის განყოფილებას. აქ ერთმანეთის მხარდამხარ მუშაობენ მედიკოსები ბიოლოგები, ბიოფიზიკოსები და მათემატიკოსები.

კვლევის ასეთი მიმართულება ფრიად განსხვავებულია მსოფლიოს სხვა ანალოგიური ლაბორატორიებისაგან. იგი შექმნილია საქართველოში პროფესორ გ. მგელაძილის ხელმძღვანელობით.

ნ. მითაგვარია.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ასრულებენ მოსწავლეები...

ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა პედაგოგი, თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი თ. ფერაძე. კონცერტის პროგრამაში იყო ჯორელის, ბახის, მოცარტის, ბრუხისა და ნ. ვაწაძის ნაწარმოებები. ჯორელის — კონჩერტო გროსო № 6 (სოლისტები. ნ. რეშეტნიკოვა, (პედაგოგი თ. ფერაძე), ო. ულიანიკოვა (პედაგოგი დ. რეიზნერი) და ტ. კინწურაშვილი (პედაგოგი ლ. ტურაზიანი) და ბახის — კონცერტი ორი ვიოლინოსათვის I ნაწილი (სოლისტები — ნ. რეშეტნიკოვა და ო. ულიანიკოვა) საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული.

მიუხედავად ამისა, რომ სოლისტები I კურსის მოსწავლენი არიან, გვაჩვენეს კარგად შეთვისებული ანსამბლი და მუსიკალობა.

მეორე განყოფილებაში ზომიერების გრძნობითა და სტილის შესაბამისად შეასრულა ორკესტრმა (თ. ფერაძის დირიჟორობით) მოცარტის № 39 სიმფონიის I და III ნაწილები.

კარგად იყო შესრულებული ბრუხის საზეიმო კონცერტის I ნაწილი ნ. რეშეტნიკოვას მიერ (პედაგოგი თ. ფერაძე) ორკესტრის თანხლებით. დამსახურებული წარმატება ხვდა ნ. ვაწაძის „იუმორესკას“.

სასწავლებლის ხელმძღვანელობის მზრუნველობის შედეგად, რაც ნათლად ჩანდა კონცერტის ორგანიზაციაში, ალბათ ხშირად გვეკვნება საშუალება მოვისმინოთ ასეთი საინტერესო კონცერტები.

შ. შანიძე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

სურათზე: მოსწავლეთა ორკესტრის კონცერტი. (დირიჟორი თ. ფერაძე).

შ. ჩხეტიანის ფოტო.

ვუპასუხებთ მკითხველის შეკითხვას

„როგორ ვითამაშოთ „სპორტლოტო?“

რედაქციამ ამ დღეებში ასეთი შეკითხვა მიიღო:

„ვიყიდე სპორტლოტოს ლატარიის სამი ბილეთი. ერთში ორი ციფრი დაედარა ტირაჟით გათამაშებულს, ორში თითოთითო. გთხოვთ გაგზავნოთ განგვიმარტოთ, რამდენი ნომერი იგებს და მინიმუმ რამდენ მანეთს. ამასთანავე ვის მივმართოთ, ან სად გავგზავნოთ ბილეთის „A“ ნაწილი მოგების მისაღებად.

დ. ჯეიშვილი,

რუსთავის ქიმიური კომბინატის საწარმოო სწავლების ოსტატი.

ქვემოთ ვბეჭდავთ „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსის ბ. ზარდიაშვილის წერილს „სპორტლოტოს“ გათამაშების თაობაზე.

„**სპორტლოტოს**“ თამაში რთული არ არის. ყველას შეუძლია აღვილად აითვისოს მისი წესები.

„სპორტლოტოს“ აწყობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველო.

სპორტულ ლატარიაში მონაწილეობისათვის გამოშვებულია „სპორტლოტოს“ სპეციალური ბარათები, რომლებიც 30 კაპიკ ღირს.

ბარათი შედგება სამი ნაწილისაგან „A“, „Б“ და „B“, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

თვითეული ნაწილის არეს აქვს 49 უჯრედი. რომლებშიც, ჯარდა რიგითი ნომრისა, დასახელებულია სპორტის გარკვეული სახეობა. როგორც, მაგალითად, 8 (ერთი), 33 (რეგბი), 41 (ჩოგბურთი), 45 (ფეხბურთი) და ა. შ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲘ

ᲐᲠᲘᲡ

ᲐᲠᲘᲡ

**ᲐᲠᲘᲡ